საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/118 “ 4 ” აგვისტო 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატებისა და საგამოძიებო კოლეგიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ივლისის №1/111 და №1/112 განკარგულებებითა და 4 აგვისტოს №1/117 განკარგულებით განხორციელდა მოსამართლეთა გადაადგილება თბილისის სააპელაციო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 5 აგვისტოდან, „თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატებისა და საგამოძიებო კოლეგიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/41 განკარგულების პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) „ა“ ქვეპუნქტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. დიმიტრი გვრიტიშვილი“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. მიხეილ ჩინჩალაძე“.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი